№ 53 მარტი 11, კვირა 1890 მარ 11, კვირა № 53

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

სურათებიანი

„ვეფხის-ტყაოსანი"

ქვირფასს ყდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილა პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

«თეატრი»-ს რედაქციისაგან.

ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო მეთერთმეტე ნომერი გაზ. „თეატრისა" გამოვა სამშაბათს, 13 მარტს.

ქართული თეატრი
კვირას, 11 მარტს,
ბენეფისი
ე. ჩერქეზიშვილისა
ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
I
მეორედ გაყმაწვილება
დრამა 4 მოქმედ., დ. ერისთავისა.
II
კატა აწონა
კომედია 2 მოქმედ.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" უმორჩილესად სთხოვს წესდების ძალით (§ 7) წევრთა ამ საზოგადოებისა მობრძანდნენ ამ 1889 წლის აპრილის 14, საღამოს 6 საათზედ, საზოგადო კრებაზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველია:

1) დამტკიცება წლიურის ანგარიშისა.
2) დამტკიცება მომავალ $18^{90}/_{91}$ წლის ხარჯისა და
3) არჩევა გამგე კომიტეტის წევრთა.

(3—1)

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების მე-82 §-ის ძალით 1890 წლის 12 აპრილს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საერთო კრება წევრთა სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ, ქ. ტფილისს.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1889 წლის განმავლობაში;

2) მოხსენება ბანკის მართველობისა სავარაუდო ხარჯთა აღრიცხვაზედ 1890 წლისათვის;

3) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნენ ხოლმე ამიერიდგან არჩეულნი დამფასებელნი;

4) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ როგორ შეიცვალოს წესდების მე-82 §-ი, რომელიც მართველობის წევრთა და ბანკის მსახურთა %-ობით დაჯილდოვებას შეეხება;

5) მოხსენება იმის გამო, რომ შევსებულ იქმნას წესდების მე-26, 27, 28, 29 და 53 §§-ი და ბანკს ნება დაერთოს ხუთ სარგებლიან გირავნობის ფურცელთა გამოცემისა;

6) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ როგორ განაწილდეს საყოველთაო საჭიროებისათვის 35% წმინდა მოგებისა;

7) მოხსენება ბანკის სადგომზედ მეორე სართულის აშენების შესახებ.

და 8) არჩევანი: ზედამხედველ კომიტეტის ერთის წევრისა, ნაცვლად გ. ს. განძიელისა; მართველობის ერთის წევრისა, ნაცვლად თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილისა, და ამ თანამდებობის ორის კანდიდატისა; დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, ნაცვლად თ. ლ. ჩერქეზიშვილისა და ვ. სულხანიშვილისა, და იმათის ორის კანდიდატისა,—რომელნიც რიგისამებრ ანებებენ თავს სამსახურს. (7—2)

ტფილისი, 10 მარტი

ჩვენის სათავად-აზნაურო ბანკის აწ მოქმედს წესდებაში მოხსენებულია, რომ ბანკში მოსამსახურე მოხელეებს უნდა ეძლიოთ 20% წმინდა მოგებიდამ იმ პირობით, რომ აქედამ ნახევარი გამგეობის წევრთ მიეცეთ და ნახევარი დანარჩენ მოხელეებს ერთმანეთში გასაწილებლად. ამ გვარს გასამრჯელოს მოხელეებისას ჩვენში დივიდენტი დაერქვა და ჩვენც სიმოკლისათვის ამავე სიტყვას ვიხმარებთ, სადაც საჭიროება მოითხოვს.

შარშან ბანკის საზოგადო კრებაზე ჩამოვარდა საუბარი მასზე, რომ სასურველიაო ეს დივიდენტი ან მოისპოს და მის სამაგიეროდ თუნდ ჯამაგირები მოემატოთ, ან დარჩეს, ხოლო იმ სიდიდით-კი აღარ, როგორც დღეს არისო. რადგანაც ეს საგანი არ იყო გამოცხადებული შარშანდელ კრებისათვის განსახილველად დანიშნულ საგანთა შორის და ამის გამო, წესდების ძალით, კრება ვერც ჰოს იტყოდა, ვერც არას, საუბარი საამწლოდ გადიდო იმ პირობით, რომ წრევანდელ კრებისაგან განსახილველ საგანთა შორის მოქცეულ იქმნას უსათუოდ. ამასთანავე კრებამ დაავალა ზედამხედველ კომიტეტს გამგეობასთან ერთად, დივიდენტის დარჩენისა, თუ მოსპობის თაობაზე თავისი აზრი წარმოუდგინოს წრევანდელს კრებას განსახილველად და გადასაწყვეტად. ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულმა კრებულმა უკვე აღასრულა ეს მონდობილობა და ამ საგანზე გამორკვეულს აზრს წარუდგენს წრევანდელს კრებას. ეს აზრი უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა ჩვენის გაზეთიდამ, სადაც იგი მოყვანილი იყო მოკლედ, მაგრამ იმდენად-კი, რომ მისი არსებითი მხარე იცნობება.

ჩვენ თუ დღეს ჩვენის საუბრის საგნად ეს დივიდენტი გავხადეთ, მარტო იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ მის მომხრეების აზრიცა და მის მოწინააღმდეგებისაც. თუ ჩვენ შევძელით საკმაო საბუთით გამოვაჩინოთ აქვთ რაიმე საბუთი ან იმათ, ვისაც დივიდენტის დარჩენა ჰსურს, ან იმათ, ვისაც მისი მოსპობა უნდა, მაშინ კაცს ხელთ ექმნება საწყაო დივიდენტის ავ-კარგიანობისა. არიან ჩვენში იმისთანებიც, რომელთაც ჰგონიათ, რომ დივიდენტი, აწ არსებული ჩვენს ბანკში მოხელეთათვის, ერთი რაღაც უკანონო, ურიგო, უკადრისი რამ არის და წამ და უწუმ მოხელეებს ამას აყვედრიან, ამას ამუნათებენ. ბევრი ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ ეს ამისთანა „გონიაობა" მკვახე ნაყოფია მწითე არცოდნისა და უვიცობისა. ჩვენ ამათ თავს დავანებებთ, რადგანაც არც დრო გვაქვს და არც ადგილი ცერცვი კედელს ვაყაროთ.

დივიდენტი, მის მომხრეების აზრით, ნაწილია იმავე ჯამაგირისა, იმავე გასამრჯელოსი, რომელსაც ყველანი დიდის სიამოვნებით ხელსა ჰკიდებენ, დიდის გულ-მოდგინებით ებღაუჭებიან და მაინც და მაინც არ უკადრისობენ, რადგანაც ჯამაგირი და გასამრჯელო სამართლიანი და პატივ-სადები სამაგიეროა შრომისა, ჯაფისა და არა მოწყალება. დივიდენტი—სამატია ჯამაგირისა, თუ სრუ-

---

ფელეტონი

ჩივილი ხმლისა

— დაჰქანგებულხარ, გორდაო,
დაგობებია ქარქაში.
სადა გყავს შენი პატრონი,
დაგაწყებინოს კაშკაში?
— სადღა მყავს, ძმაო, პატრონი,
შამქორს გავწირე მკვდარია;
ორმოცგან სჭირდა ნახმლევი,
სდიოდა სისხლის ღვარია.
ომში წინ წასვლა უყვარდა,
ხელთ დაბღუჯვილი ფარია;
არას დასდევდა სიკვდილსა,
ოღონდ არ შარცხვეს ჯარია,
მეფის თამარის გვირგვინი,
ქართველთ სამეფო გვარია.
ეხლა უშნოდ ვარ... დამკიდეს
ლაჩართ კედელზე უქმადა;
ვისლა სცალიან ჩემთვისა,
ქვეყანა იქცა დუქნადა?!
გადამიგდებენ გირაოდ...
და გზირ-ნაცვლების ხელითა
ქვეყანა მხედავს მდებარეს
„არშინის", „ჩოთკის" გვერდითა.
შვიდასი წელი გამიხდა,
არ გავპოხილვარ დუმითა;
არ ულესივარ ქართველსა
დაღილინებით ჩუმითა.
მისი ხმა აღარ მსმენია:
„გასჭერ, გამიშვი წინაო,
თუ სახელს არ მაშოვნინებ,
როგორ დავბრუნდე შინაო!"

ვაჟა-ფშაველა

◆

ყოველ თთვიური პროვინციელისა

(გურია)

თებერვალი

ეს უმისოდაც უდღეური, სიცოცხლე ნაკლები თთვე ისე ჩამლია ხელში, რომ სრულიადაც არ მომგონებია ვალი გაზეთის მოამბეობისა, ხოლო როცა მომაგონდა, თებერვალს უკვე დათვლილი ჰქონდა თავისი დღენი. მივიხედ-მოვიხედე, ავიხედ დავიხედე თებერვლის მეფობაში და სამეფოში და მინდა, რაც შევნიშნე, გაუწყოთ და გაგიზიაროთ. ყველაზე უწინ უნდა ვილაპარაკო იმ მშვენიერ დარ-ამინდების შესახებ, რომლითაც თავი ისახელა ამ თთვემ ჩვენში და, ესეც რომ არ იყოს, დარ-ავდარის გამო ლაპარაკი უფრო ადვილი და შეფერებულია, ვიდრე უკანონო საქმეთა და ბოროტ-მოქმედებათა აღნიშვნა და გამომზეურება, რადგანაც ამისთანა აღნიშვნა და გამომზეურება შეიძლება ვისმეს არ ეჭაშნიკოს. დარ-ავდრის გამო წერა-კი სულ სხვაა. ეს არც არავის გაარისხებს, არც არავის გააჯავრებს. ერთის სიტყვით, უმეტესობის აზრით, როცა დარ-ავდრისას ჰლაპარაკობთ, მაშინ თქვენ თქვენს ქერქში ბძანდებით, ხოლო როცა სხვა რაზედმე აგეშლებათ წერის საღერღელი და ლაპარაკის მადა, ეგ იმისი უტყუარი ნიშანია, რომ თქვენს საკუთარს ქერქში ველარ ეტევით, იქიდამ გამობძანებას ჰლამით, მედიდურობით თავი მოგაქვთ. მეც, რასაკვირველია, ძალიან მინდა, რომ ამ დიდ-მარხვაში, როცა ლობიო და ჯონჯოლი ილაჯს მიწყვეტავს, ვინმემ გასუქება და ქერქიდამ გამოსვლა არ შემწამოს, რადგანაც ამ შეწამებას მეორე უფრო დიდი შეწამება მოჰყვება უკან, ე. ი. მარხვის გატეხა, და ეს ხომ სრულიადაც სასურველი არაა!

ეს არის მიზეზი, რომ ამ წერილში მხოლოდ დარ-ავდრისა და სხვა ამ გვარ საია ამბის გამო განვიზრახე საუბარი, როგორიც დიდ-მარხვას შეეფერება.

თუ თებერვალმა წელს რამე კარგი ჩაიდინა, ეგ ის მშვენიერი დარები, შეუდარებელი ამინდი და შეზავებული ჰაერი იყო, რომელმაც მიძინებულს ბუნებას ლიტინი დაუწყო და სასიცოცხლოდ „მკვდრეთით აღსადგენად" შეახაზირა. იამ, ამ გაზაფხულის შიკრიკმა, იმედის პირველმა მახარობელმა და მინდორ-ტყე-ველთა უცილობელმა დედოფალმა, თავის სოსანის გვირგვინითა და მწვანე სამოსლით არე-მარე მოქარგა და ააფერადა. მისმა მშვენიერმა, ნაზმა და „კდემით მოსილმა" სანახაობამ სრულიად მოხიბლა და გაიტაცა ადამიანი. მისი საამური და ათას ნაირად შეზავებული სურნელოვანება უხვად უმასპინძლებს ჩვენს ყნოსვას. შაშვი, ეს ჩვენი განუშორებელი მეგობარი, ჩვენის ლხინისა და ჭირის გამყოფი, დილა-საღამოობით საუცხოოდ ჰანგზე სტვენს და რაკრაკებს. ზოგიერთი ხეხილი ასაყვავებლად სრულიად მომზადებულა. ერთის სიტყვით, ყველაფერს დაეტყო გამოცოცხლება და გამოღვიძება ისე, რომ, ვგონებ, არ იქნება უადგილო ვსთქვა: „დრო საქორწინოდ მზად არი"!.

ზამთრის სუსხ-სიცივესთან ერთად წაბრძანდა ის დაუპატიჟებელი სტუმარიც, რომელსაც ინფლუენცია ერქვა და რომელმაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე წაიღო ხარკად. დიაღ, ინფლუენცია წაბრძანდა, მაგრამ მის სამაგიეროდ აქა-იქ თავი იჩინა მეორე არა ნაკლებ საშიშარმა სენმა და განსაკუთრებით ბავშვების მოსისხლე მტერმა—წითელამ, რომლისათვისაც ჩვენის ხალხის გენიოსობას გაჯავრება-გაწყრომისა და შებრალება-შეწყნარების ნიჭი შეუნიშნავს და საბოდიშო სახელი „წითელ-ბატონები" დაურქმევია. ამიტომ მეც იძულებული ვარ, როცა ამ საგანზე ველაპარაკობ, ეს საბოდიშო სახელი ვიხმარო, რადგანაც უამისოდ, შეიძლება, ჩემ თანამემამულეთა ღალატი და ორ-გულობა შემწამონ და წითელ-ბატონების გაჯავრება დამაბრალონ. წითელ ბატონები, როგორც ძლიერ გადამდების თვისების სენი, დიდის სისწრაფით ვრცელდება. მაგრამ ღონის-ძიება-კი ჯერჯერობით არავითარი მიღებული არ არის და ქვეყანა ღვთის ანაბარად არის დატოვებული. საკვირველია. ვწუხვართ, რომ გარდა გაკვირვებისა არაფრის ნება და უფლება არა გვაქვს ამ საქმეში. აღვნიშნეთ ეს ამბავი იმიტომ, რომ ესეც ისეთი ჩვეულებრივი

ლი უჯამაგირო გასამრჯელოა— იმ აზრზეაო დაფუძნებული, რომ გამრჯელს საქმის მოგებაში წილი ედოს იმ სახით, რომ გასამრჯელომ იმატოს მოგების მატების კვალობაზე. მთელი განათლებული ქვეყანა დღეს იმის თავის ტეხაშია, რომ ამ დედა-აზრზე დააყენოს ურთიერთობა მშრომელისა და საქმის პატრონისა და თუ ეს დედა-აზრი ასე ნაყოფიერია, ასე სანატრელი და მოსაწონი, როცა დაბალ ხარისხის მუშებზეა ლაპარაკი, სხვა ხარისხის მშრომელთათვის რატომ აღარ უნდა იყოსო?

თუ იტყვიან ამასა, რომ საცა დივიდენტია, იქ ჯამაგირი აღარ უნდა იყოს და საცა ჯამაგირი—იქ დივიდენტიო, ამ თქმას არავითარი საბუთი არ მიუძღვისო. თუ გასამრჯელო მარტო დივიდენტზეა მიჩემებული, მაშინ აი რა გამოდისო:

როცა მოგებაა, შენც შენი ხვედრი ირგუნე, როცა ზარალია, ცარიელზე გადი. არავითარს მშრომელს, რომელსაც ბედმა შრომით რჩენა არგუნა, ამ პირობის აღება არ შეუძლიანო. უფროს-ერთი მშრომელთაგანი შრომისაგან გამოელის თავის საცხოვრებელს, თავის საგვებავს. მხოლოდ ამიტომ ჰკისრულობს სხვის სამსახურს, რომელიც ცოტად თუ ბევრად აბანდებს კაცს, ცოტად თუ ბევრად უხუთავს თავისუფლებას და რომელიც—რაც გინდათ სთქვით—მაინც სამძიმოა და უამური ბუნებითადაო. ამ დაბანდებას, ამ შეხუთვას იმოდენად ვერა ჰგრძნობს გაუნათლებელი, რამოდენადაც საგრძნობელია განათლებულისათვის და თუ არ გაჭირებული, ვინ გაიბამს თავსაო. მართალია, ყოველ ამას ცოტად თუ ბევრად ინელებს გონება-გახსნილი ადამიანი, როცა რაიმე საზოგადო საქმეს ემსახურება, მაგრამ არც არაფერი უსამართლობა და უკადრისობაა, რომ მშრომელმა საზოგადო საქმეს თავისი გასამრჯელო მოსთხოვოს უნაკლულოდაო. მოწყალებით რჩენა როგორც ცალკე კაცისათვის საძრახისია, ისეც მთელის კრებულისათვის, ისეც მთელის საზოგადოებისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ერთსაცა და მეორესაც გასაძლოლი ღონე და შეძლება აქვთო.

ან რად უნდა იყოს ქვეყანაზე მუქთად შრომა, ან მუქთად კეთება საქმისაო? ყოველს ამას იშვნევდა ადამიანობა, როცა ერთმანეთის ტყვეობა იყო, როცა ყურ-მოჭრილი ყმობა იყო. ძალ-დატანებით მუქთად შრომა ერთი უსაძაგლესი ძალ-მომრეობაა ყველა გვარ ძალ-მომრეობათა შორის და, ღვთის მადლით, ერთი უდიდესი მაგალითი მისი უკვე აიგავა დედამიწის ზურგიდამ ბატონ-ყმობის სახითაო. მართალია, ნება-ყოფლობით კისრება მუქთად შრომისა უმაგალითო არ არის ქვეყნიერობაზე, მაგრამ ეს არა კაცს არ მოეთხოება. ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ, მაგალითებრ, საზოგადო საქმისათვის სიცოცხლესაც არა ჰზოგავენ, მაგრამ საქმე ჯერ ამ გაჭირებამდე უნდა მივიდეს და მერე თავ-გამწირველი გმირად უნდა იყოს გაჩენილი. სამართლიანი ურთიერთობა-კი ადამიანთ შორის ყოველთვის და ყოველგან მარტო საშუალო კაცზეა გაანგარიშებული და დაბჯენილი და არა გმირის გამოჩენის იმედზეო.

აშკარაა, კაცი მშრომელს მარტო დივიდენტით ვერ მოინადირებს საშრომოდ, რაც გინდ დიდი წილი დაჰპირდეს, იმიტომ რომ დივიდენტი სათუო საქმეა. ამისი ცალკე მაგალითი თითო-ოროლა იქნება გვაჩვენოს სადმე, მაგრამ კანონად-კი ეს ვერ დაიდებაო საზოგადოდ. სხვა არა იყოს-რა, უფროს-ერთს მშრომელს საყოველდღეოდ ლუკმა პური უნდა და ეს იმისთანა საჭიროებაა, რომ დივიდენტის გამორკვევამდე, რომელსაც უფრო ბევრს შემთხვევაში მთელი წელიწადი ლოდინი სჭირია, თავისას არ დაიშლისო. რომ ეს ასე არ მოხდეს, დივიდენტთან ერთად გადაწყვეტილი ჯამაგირიც ინიშნება, ხოლო ამ შემთხვევაში იმოდენად ნაკლები, რომ შეიჯერიოს მშრომელი დივიდენტის გამორკვევამდე. აქ ნაკლებობა ჯამაგირისა იმდენია, რამდენადაც დიდია იმედი დივიდენტისა. ამ სახით დივიდენტის არსებობა ჯამაგირს თავის უკანასკნელ სიცოტავეზე, ანუ უკეთ ვსთქვათ, თავის მინიმუმზე აყენებს და დივიდენტი მხოლოდ ამ გაცოტავებულის ჯამაგირის სამატიაო.

რა გამოდის აქედამ ან მშრომელისათვის, ან საქმის პატრონისათვის? მშრომელისათვის ისა, რომ თუ საქმეს გულ-მოდგინედ მოექცა და მოგება გამოაღებინა, იმ ნაკლებად შეჯერებულს ჯამაგირს დივიდენტით ცოტად თუ ბევრად შეივსებს და იქნება ამაზე ბევრიც წაიმატოს. ეს მშრომლის სამართლიანი ხეირიაო. თუ არა და, უნდა იმაროს ნაკლებად შეჯერებული ჯამაგირი. ეს მისი ზარალია საქმის პატრონიც თუ არ მოგებაში, წაგებაში არ არის მაინც და მაინც. თუ ზარალია, იგი ნაკლებად შეჯერებულს ჯამაგირს იხდის, ესე იგი შეცოტავებულს და ეს მისი ხეირია, და თუ მოგებაა, მეტიდამ მეტს იხდის და მაინც ბევრი ნაწილი მოგება ჰრჩებაო. ეს ასეა როცა დივიდენტი საქმეშია მიღებული ჯამაგირის სამატად. ახლა ვნახოთო, როცა მარტო ერთხელ მოჭრილი ჯამაგირია უდივიდენტოდ.

ამ შემთხვევაში, თქმა არ უნდა, რომ მშრომელი იმ ჯამაგირს არ დასჯერდება, რასაც დივიდენტის იმედით სჯერდებაო. იგი მეტს მოითხოვს და იმოდენად მეტს, რომ შესაძლებელ ნამეტანობამდე გასჭრას, ესე იგი, თავის მაქსიმუმამდე აიყვანოს. რა გამოდის აქედამ? ისა, რომ მშრომელს არა იმედი აღარა აქვს გასამრჯელოს მომატებისა, რაც გინდ დიდი და ბევრი მოგება გამოიღოს საქმემ და საქმის პატრონმა, კიდევ დიდის ზომით უნდა იხადოს ჯამაგირი, მაშინაცკი, როცა ზარალია.

ავსხნათ ყოველივე ეს მაგალითებით. ვთქვათ, წლის მოჯამაგირე რვა თუმნად ჰდგება წელიწადში. ეს ვთქვათ ის მაქსიმუმია, რომელზედაც შეიჯერიებს საქმის პატრონსა. ვსთქვათ საქმის პატრონმა უთხრა, მოდი ხუთს თუმანს მოგცემ იმ პირობით-კი, რომ რაც შენგან მოხნულ-მოთესილისაგან მოგება დარჩება, იქიდამ ათის თავი შენი იყოს, და მოჯამაგირეც დაეთანხმა. ვსთქვათ, ეს შეძლეული ხუთი თუმანი იგი მინიმუმია, რომელზედაც საქმის პატრონს იმედი აქვს მშრომელი შეიჯერიოს დივიდენტის იმედითა. ვსთქვათ, გასტყვრა მოსავალი და მოგება ორმოც-და-ათ თუმნად გამოირკვა. მშრომელს ერგება დივიდენტად ხუთი თუმანი, რომელიც, გადაჭრილ ჯამაგირთან ერთად, ათს თუმანს გასამრჯელოს შეადგენს, ესე იგი, ჯამაგირის მაქსიმუმს გადააჭარბებს ორის თუმნით. ხომ ხეირია? ამ მშრომელის ხეირით რა აკლდება საქმის პატრონს, როცა მოგებიდამ ორმოც-და-ხუთი თუმანი თითონ ჰრჩება? თითქმის არაფერი, რადგანაც ნამეტანობისაგან მისცა მეტი. ხოლო თუ მოსავალმა უმტყუნა და მოგება არა მისცარა, მშრომელი ჰზარალობს მაქსიმუმიდამ და საქმის პატრონი სამს თუმანს ჰხეირობს მაინცა და მაინც. ერთხელ გადაჭრილ რვა თუმანადკი რომ მორიგებოდა მშრომელს, ზარალის დროს მეტს იზარალებდა სამის თუმნით.

რადგანაც დივიდენტი, ვითარცა სამატი ჯამაგირისა, ზარალის დროს გადასახდელი არ არის, ცოტად თუ ბევრად მხარს აძლევს შერყევის დროს საქმესაო, ამბობენ მომხრეები, და ამის მიხედვით, იგი საქმეა ჭკვიანურად დაჭერილი, რომელიც გაანგარიშებულია, რომ ზარალის დროს, რაც შეიძლება, ნაკლები იზარალოს, თორემ მოგების დროს—რაც გინდ ცოტა იყოს—საქმეს არაფრის შიში არა აქვსო.

ამ სახით, მომხრეების აზრით, დივიდენტი სამართლიანს დედა-აზრზეა დამყარებული და სახეიროა ყოველთ უწინარეს თითონ საქმისათვის, რომელსაც მშრომელი უფრო ხალისიანად ეკიდება, რადგანაც მატებას გასამრჯელოსას მის წარმატებისაგან გამოელის, მშრომელისათვისაც, რომელიც უნუგეშოდ არა ჰრჩება, როცა მისი ნაამაგევი მოგებას იძლევა, და საქმის პატრონისათვისაც, რომელსაც ზარალთან ერთად გასამრჯელოს ხარჯი მაინც მეტობით არ ეხდევინება.

თუ მაინც და მაინც დივიდენტს რაიმე საბუთიანი სალაპარაკო აქვს, ეგ მისი მეტ-ნაკლებობააო. შესაძლოა იგი ბევრი იყოს, ან ცოტა და ამისი განკითხვა ყოველ შემთხვევაში არამც თუ შესაწყნარებელია, სასურველიც არისო.

მოწინააღმდეგეთა აზრი შემდეგისათვის გადავდოთ.

ახალი ამბავი

⁂ ამ დღეებში თამამშოვის ქარვასლაში შემდეგი ამბავი მოხდა. სხვათა შორის ამ ქარვასლაში ვაჭრობს წყალობა ივანეს ძე ზურაბოვი. ამ მაღაზიაში ნოქრად ყოფილა ვიღაცა ნიკო სარქისოვი, რომლისათვისაც ვაჭარს დაუვალებია, რომ 450 მანეთამდე ნისია მოაგროვეო. სარქისოვს ნისიები მოუგროვებია და მიუცია ზურაბოვისთვის. ამავე დროს თავისთვის პასპორტიც აუღია, შემდეგ მოუპარავს ზურაბოვისაგან ორმოც-და-ხუთი თუმანი და დამალულა. ეს ამბავი ზურაბოვმა შეატყობინა პოლიციას, რომელმაც მეორე დღესვე შეიპყრო იმ დროს, როცა ტფილისიდგან გასვლას აპირობდა. პოლიციამ ამ ამბის გამო ოქმი შეადგინა და გადასცა საქმე გამომძიებელს.

⁂ პარასკევს, 16 მარტს, დილით 10 საათზედ, დანიშნულია კურთხევა იმ სამკურნალოსი, რომელიც ქალაქმა დააარსა თავის ხარჯით ავლაბარ-

---

საია ამბავია ჩვენში, როგორც დარავდარი და ზამთარ-ზაფხული. თუ გაგვიკვირდა იმიტომ, რომ უბრალო სიკვდილის შვილი გახლავართ: ხან უზომო ავ-დარიც მაკვირვებს, ზოგჯერ ბოლო მოუღებელი ზამთარიც მაოცებს. ისე-კი რა მენაღვლება, წითელ-ბატონებმა სხვებს მუსრი ავლოს, მე ღვთისა და თქვენის შემწეობით ერთხელ ნასტუმრი ქე მყავს და მეორე ხელ, გამიგონია, იშვიათად ესტუმრება ვისმესაო!

**

ჩვეულებრივი, საია ამბავია ჩვენში აგრეთვე კაცის კვლაცა, თუმცაკი უნდა გამოვტყდეთ, რომ მიზეზი კაცის-კვლისა ზოგჯერ სხვა-და-სხვაფეროვნობს. არ გაგიკვირდებათ,—ან რა გასაკვირველია—რომ თავზე ხელ-აღებულმა ყაჩაღმა, განადირებულმა კაცმა ადამიანი ფულისა ანუ სხვა რისთვისმე სასიკვდილოდ გაიმეტოს. ხოლო ისეთი კაცის-კვლა-კი, რომელიც ამ დღეებში ლანჩხუთში მოხდა, სრულიად, სხვა მიზეზით არის გამოწვეული და მით უფრო საზარელი და შემაძრწუნებელი. ცოტა შორიდამ დავიწყებ კაცის-კვლის ამბავს და ამაზე ნუ დამემდურებით.

ლანჩხუთში სცხოვრობენ აზნაური ჟორდანიები, რომლებსაც საკმაო მიწა წყალი, ადგილ-მამული და ტყე აქვთ. მაგრამ მეტი სარჩო და ქონება ვის გადაუყრია, რომ ჟორდანიებმა გადაჰყარონ. ჰო, საქმეც იმაშია, რომ ჟორდანიებსაც უფიქრიათ, რაც ეხლა ზოგიერთი მამულები სოფელს უჭირავს, ის ჩვენიაო, და ამიტომ მოუნდომებიათ კანონის შემწეობით იმ მამულების დასაკუთრება. დიდი ლარი და ხაზიც არ დასჭირებიათ ამისათვის. აულიათ და მომრიგებელ-მოსამართლესთან არზა შეუტანიათ, რომ ესა და ეს მამა-პაპისეული ადგილები გაუყოფელი გვაქვს და მოიღე წყალობა, მოახდინე ჯეროვანი განკარგულება, რომ გავიყოთ ეს სასახლის-კაცო ქონება ერთმანეთში და მით მოსალოდნელი უბედურება, საერთო მფლობელობისა და მეტ-ნაკლების სარგებლობის გამო წარმომდგარი, თავიდამ ავიშოროთო. მოსამართლეს, როგორც რიგი და წესი ითხოვდა, მედიატორეთა დანიშვნა უბრძანებია. ჟორდანიებსაც დაუნიშნავთ მედიატორები, რომელთაც დაუდგენიათ მათებური განაჩენი და წარუდგენიათ სასამართლოში დასამტკიცებლად. განაჩენი დამტკიცებულა, საქმე გაჩარხულა. აულიათ აღმასრულებელი ფურცელი, მოუყვანიათ სასამართლოს ბოქაული და, განაჩენის თანახმად, თავიანთი ნაწილი უნდა ჩაიბაროს თითოეულმა. აქ მთელი სოფელი, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა ფეხზე დგება, რადგანაც შეუტყვიათ, აღმასრულებელ ფურცელში უმეტესი ნაწილი მოხსენებული ადგილი ჩვენი და კეტებით აღჭურვილნი სოფლელნი ალყას შემოავლებენ სოფლის კანცელარიას, სადაც ბოქაული ეგულებათ. აქ კანონისა და სამართლის საძებრად ვილას სცალიან! საქმე კეტმა უნდა გადასწყვიტოს. გამოდის ბოქაული, თავი საფრთხეში ეგულება, აძლევს ხალხს დარიგებას, შეაგონებს, რომ თქვენ კანონის წინააღმდეგ საქმეს სწადიხართო; თუ რამე ნაწილი გაქვთ ჩასაბარებელ მამულში, მიჰმართეთ კანონს, ძალადობა შეუძლებელია, მე რაც „ლისტში“ მიწერია, ის უნდა ავასრულოვო. მაგრამ ნუ გაგიწყრეს ღმერთი, ეგ მამაშვილური დარიგება არა სჭრის. მოთმინებიდამ გამოსულნი სოფლელნი ერთ-ხმად ღრიალებენ:

— რას ჰქვია ვიჩივლოთ, რას ჰქვია კანონს მივმართოთ! არა, თითონ ჩვენ მოგვენახოს, ჩვენ მოგვიკითხონ კანონმაც და სამართალმაც, მეკანონემაც და მოსამართლემაც! აქედამ ფეხს არ მოგაცლევინებთ და ისე ხომ ჩაბარება არ შეგიძლიანთ! დასწერეთ, რომ წინააღმდეგობას გიწევთ, დასწერეთ, რომ არ გაძლევთ ნებას, ლუკმა პური წაგვართვა მთელს სოფელს, მთელს საზოგადოებას!

საქმე სახუმარი არ იყო. ამ აურზაურიდგან შეიძლებოდა დიდი უბედურება დატრიალებულიყო. მეტი რა ღონე იყო, ბოქაულმა მაზრის უფროსს მისწერა ეს ამბავი და შველა სთხოვა. მოვიდა მაზრის უფროსიც, მოიყვანა თან ყაზახი რუსებიც, შეზაბთა ხალხი, გაუწყრა, გაუჯავრდა, ყველას ციმბირს დაემუქრა. მაგრამ როგორც ზღვის ღელვა არ სცხრება გაჯავრებით, ისე ამ ხალხის დაშოშმანება და გონზე მოყვანა ვერ შესძლო ვერც მუქარამა და ვერც მუდარამ. ის თავისას ღრიალებდა და თავისას არ იშლიდა. რა ვერა-რა გააწყო-რა მაზრის უფროსმა, ადგა და გუბერნატორს მოახსენა ამ საქმის გარემოება. გუბერნატორმა უფრო გონიერისა და მოწყალეს თვალით შეჰხედა ამ საქმეს, მოახდინა განკარგულება და შეაჩერა აღმასრულებელ ფურცლის აღსრულება საქმის გამორკვევამდე. უწინდელი უდავო ადგილები სადაოდ დაინიშნა, საძიებლად გახდა. რაც მოგახსენეთ, მას შემდეგ აგერ თითქმის ორი წელიწადი გადის და საქმეს ბოლო არ უჩანს.

ამას წინად ორი სოფლელი, გვარად ებრაელიძენი, რომელთაც მოჰბეზრებიათ თავი ამ საქმის დაბოლოვების ამდენის ხნის „ყურ-ყუტით, შესულა სადავო მამულში და თავიანთ წინანდელ ნაყანევში მუშაობა დაუწყიათ. იქ დასხმიან თავს... ვინ? ვინ იცის ვინ! მე მგონია, რომ არც მე, არც შენ, არც ყაჩაღი, არც ნადირი. დასხმიან და იმდენი უცემიათ, რომ ერთი მათგანი იმავე ღამეს გარდაცვლილა და მეორეც, ვინც იცის, გადურჩება სიკვდილს, თუ არა. მიცვალებულის გვამი ექიმმა გასჭრა და დაამოწმა, რაც მოგახსენეთ, ე. ი. ის, რომ ეს საბრალო კაცი ცემა-გვემით მომკვდარა და არა სხვა რამე მიზეზითაო. გამომძიებელმა კიდევ იმის გამოკვლევას მიჰყო ხელი, თუ ვინა სცემა და ჰგვემა სასიკვდილოდ ამ კაცსაო. მიცვალებულის წვრილი ცოლ-შვილი უპატრონოდ და ოხრად ჰყრია და იმათი ტირილი და გოდება ავსებს საცოდაობით მთელს სოფელს!

**

რადგანაც მხოლოდ, ჩვეულებრივ, საია ამბების გამო მოგვიხდა ლაპარაკი, გავბედავ და ცოტა რამე იმ უგუნურ ჩვეულებაზედაც ვიტყვი, რომელიც ჩვენში მიცვალებულის დამარხვაზე იციან და რომელზედაც არა

ში სნეულ დედაკაცთავის იმპერატორს ალექსანდრე მეორის 25 წლის მეფობის სახსოვრად.

*** დღეს საღამოს ქართულს თეატრში დანიშნულია წარმოდგენა ქ-ნ ე. ჩერქეზიშვილისა. ქართულის თეატრის არტისტების ამხანაგობა წარმოადგენს ოთხ-მოქმედებიან დრამას, რუსულიდგან გადმოკეთებულს თ. დავით ერისთავის მიერ: „მეორედ გაყმაწვილება“ და ორ-მოქმედებიანს კომედიას: „კატა აწონა“.

*** 16 მარტიდამ დაიწყება ფრანგული წარმოდგენები საზაფხულო თეატრში საოპერეტო დასისა ბ-ნ კლოდიუსისა და იმისის სეკრეტარის შარლეს მოთავეობით. დასში 40 კაცია და ორკესტრში 20 მემუსიკე იღებს მონაწილეობას. დირიჟორად ორკესტრს ჰყავს ბატონი ბორის კლოდიუსი. წარმოსადგენად მომეტებულ ნაწილად ისეთი ოპერეტებია დანიშნული, რომელიც შარშან ლასალის დასს არ უთამაშნია.

*** სურამი: „ივერიაში“ უკვე მოხსენებული იყო, რომ გორის მაზრის უფროსის თანაშემწემ მოსთხოვა ანგარიში სურამის მამასახლისს ქიმერიძეს საზოგადო ფულისა. როგორც შევიტყეთ, ქიმერიძეს წარუდგენია საბუთები იმ დანახარჯისა, რაც მოსვლია სამის წლის განმავლობაში სურამის სხვა-და სხვა საჭიროებათათვის, და მხოლოდ ოც-და-თვრამეტის თუმნის ანგარიში ვერ მიუცია. ეს ამბავი მოხსენდა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს, რომელიც, უეჭველია, ჯეროვან განკარგულებას მოახდენდა.

*** იქიდამვე: სარწმუნო წყაროდამ შევიტყეთ, რომ გორის მაზრის უფროსი შუამდგომლობს ბ-ნ გუბერნატორის წინაშე, სურამში დანიშნულ იქმნას მამასახლისად მთავრობისაგან ამორჩეული კაცი ჯამაგირით, თვეში 35 მან., რადგან სურამის ბოქაული ვერა სწვდება დიდ-ძალს ბევრს საქმესაო. შეიწყნარებს თუ არა ამ შუამდგომლობას მაზრის უფროსისას ბ-ნი გუბერნატორი, ამის ჯერ არავინ არა იცის-რა.

*** ბათუმი: აქ მოინდომეს შედგენა მუშათა ამხანაგობისა, ანუ არტელისა, შეადგინეს წესდებაც, რომელიც მთავრობამ უკვე დაამტკიცა. წესდება-კი დამტკიცდა, მაგრამ გაჭირვება ახლა დაადგათ ამხანაგობის წევრთ, რადგანაც ამხანაგობაში მუშები თითქმის სულ არ არიან ჩაწერილნი. იმათ მაგიერ ჩაწერილან ისეთები, რომელნიც თითონ არა მუშაობენ. წინად მუშები იხვეწებოდნენ, ჩაგვწერეთ ჩვენც ამხანაგადა, და ახლა ამხანაგობა თვითონ ეხვეწება მუშებს, ჩაეწერეთ ბლომადაო.

*** იქიდამვე: სანიტარული კომისია ძალიან დიდს ამბავშია ბათუმში და დიდი იმედიცა აქვთ მცხოვრებელთ, რომ ამ ზაფხულს სისუფთავე იქმნება დაცული ამ კომისიის მეცადინეობითაო.

*** იქიდამვე: ყასპების ოხტიდგან ვერ მოვიდა ვერც გამგეობა და ვერც პოლიცია. ჰყიდიან ხორცს, როგორც უნდათ, ორ-სამ კაპეიკით მეტად ნიხრით დანიშნულს ფასზედ. გამგეობა განგებ მეტს ფასებს ჰნიშნავს, რომ დანიშნულზე მეტი არ გადაახდევინონო, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან. ეხლა ძალა დაატანა ახალმა პოლიციის მოხელის თანაშემწემ, რომ ყოველ ნაჭერს ეკიდოს ზედ წარწერილი ნიშანი, რომლის ღირსებისაა ხორცი, ანუ რა ფასისაო, მაგრამ თვალყურის დამჭერი ბაზრის ზედამხედველნი ყურსაც არ უგდებენ ამ განკარგულებას. ისეც სახლების სიძვირეა და ახლა ხორაგსაც ასე გვიძვირებენ.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ“-ეს რედაქციას მოსვლია სარაყამიშიდამ იქაურ ქართველობაში შეგროვილი 75 მან. წინამძღვარიანთ კარის დაზარალებულ სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. სულ დღემდე შეგროვილა რედაქციაში 639 მან. 75 კაპ.

*** იმავე გაზეთს სწერენ გომის სადგურიდგან, რომ 7 მარტს, საღამოზე, მატარებელმა ფეხი დაუშავა სოფელ ბალთის მცხოვრებელს გიორგი რევაზის ძეს შალიბაშვილსაო, რომელსაც ვაგონში შეხტომა უნდოდა და ფეხი დაუცდაო.

*** მარტის 9 პოლ-ციის მეექვსე ნაწილში, სვარონცოვის ქუჩაზედ, იპოვნეს მიგდებული სამის თვის დაბადებული ბავშვი. ბავშვი აბენით ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** მარტის 8 პოლიციის 1 ნაწილში მეპურემ სპარსეთის ქვეშევრდომმა აკოფ მელქონოვმა, რომელიც ნოტარიუსის პოლტორაცკის სახლში სდგას, გამოაცხადა, რომ სპარსეთის ქვეშევრდომმა ბაბა ოჰანეზოვმა, შერჩეულის გასაღებით დახლის ყუთი გამიტეხა და 200 მან. მომპარაო. დამნაშავე შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

სამეურნეო საზოგადოების კრება

(9 მარტს).

წინანდელ კრების წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა სტაროსელსკიმ წაიკითხა რეფერატი ვენახის გაშენების შესახებ თერგისა და ყიზლარის ოლქში.

ამ ოლქში 25% ია იმ ვენახებისა, რაც მთელს კავკასიაშია გაშენებული, და ყოველ წელს $2\frac{1}{2}$ მილიონი ჩაფი ღვინო მოდისო, მაშინ-როდესაც მთელს კავკასიაში წლის მოსავალი სულ 10 მილიონ ჩაფს არ აღემატებაო. ამიტომ აქაურს ვენახებს განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცესო.

ვენახს თერგსა და ყიზლარში უფრო სპირტის სახდელად აშენებენ, ვიდრე ღვინისთვის. ეს იმითი აიხსნება, რომ იქ დიდ-ძალი ჯარია დაბინადრებული და სპირტეული სასმელი ძალიან იყიდება. ამიტომ იქ უფრო იმას აქცევენ ყურადღებას, რომ ყურძენმა რაც შეიძლება მეტი წვენი გამოიღოს და სასიამოვნო სასმელ ღვინის მოყვანას არ დასდევენ: იმათს ვენახებში მხოლოდ შავსა და ალის ფერ ყურძენს შეხვდები. ამ ჯიშის ვენახი თუმცა ბევრს ისხამს, მაგრამ ღვინო ნაკლების ღირსებისა იცის.

ამიტომვე, ე. ი. რომ ყურძენი ბევრი მოვიდეს, ვენახებს მძიერ და ხშირად რწყავენ. რასაკვირველია, რაც მეტი წყალია, ყურძენი იმდენად მეტს წვენს გაიკეთებს, მაგრამ ღვინო იმდენად უფრო მცირე ღირსებისა იქნება.

ვენახებს პირველად რქით აშენებენ და შემდეგ გადაწიდვნით, და ეს გარემოება ხელს უწყობს ყოველგვარ ავადმყოფობას. წიდვნის შემდეგ ახალ ულორტს სხვათა შორის ძველის ვაზის ფესვებიც ჰკვებავს, და ძველი ვაზი-კი ხომ სუსტია და ადვილად ითვისებს სხვა-და-სხვა ავადმყოფობას. რასაკვირველია, ამის გამო ღვინოც ცუდი დგება. გარდა ამისა წიდვნით გაშენებული ვენახი დიდხანს ვერ სძლებს, ათს წელს იქით აღარვარგა და, როგორც ვიცით, ახალშენი ვენახი მის დღეში ვერ დააყენებს ისე კარგსა და მძიერს წვენს, როგორც ძველი.

გარდა ამისა სხვლა იმ ნაირად იციან, რომ ვენახი ყოველ წლიწადს იზრდება. ამ მიზეზის გამო ვენახი ისე გაიბარდნება ხოლმე, რომ ყურძნის მტევნებს მზე არა ხვდება და შეფოთლილ ულორტებს ქვეშ არის დამალული. ეს გარემოებაც ხელს უწყობს როგორც ავადმყოფობას, აგრეთვე ღვინის უვარგისობას.

ამას გარდა გასხვლის დროს მხოლოდ ერთს რქასა სტოვებენ, თუმცა მიწა ძალიან ღონიერი და საკმარის წყლიანია და რამდენისამე რქის კვებასაც ადვილად შეიძლებს.

ვენახის შეყელვაც ისეთ ნაირად იციან, რომ ულორტები სწორედ არის გაჩხერებული. ამიტომ თხელ ვენახში და აგრეთვე ახალ-შენში ყურძნის მტევნები პირდაპირ გაფიცხებულია მზეზე, იწვის და ცვივა.

თერგსა და ყიზლარში ზემოხსენებულ მიზეზების გამო ვენახებში ბევრი სხვა-და-სხვა ავადმყოფობა მძვინვარებს: Cladosphorium, მილდიუ, ანტრაკნოზი, თეთრი სოკო (бѣлая гниль) და სხვ. აგრეთვე აღმოჩნდა სამი სხვა-და-სხვა მწერი, რომელნიც ფოთლებს სჭამენო, და ერთიც ობობას მსგავსი პატარა ცხოველი (паукообразное), რომელსაც რუსები ეძახიან зудень-ს. ეს ის ცხოველია, რომელიც კაცსა და ცხოველებს ჩაუძვრება ხოლმე კან ქვეშ და ქავილს აუტეხს. ეს ობობას მსგავსი წითელ წინწკლებსავით მოედება ხოლმე იმ ფოთლებს, სადაც ბუდობს, და ამიტომ ფოთოლი, რასაკვირველია, სმება და ცვივა. თუმცა ეს ავადმყოფობა ჯერ ძალიან გავრცელებული არ არის, მაგრამ შესაძლებელია, რომ თანდათან უფრო და უფრო გავრცელდეს და მაშინ ისეთივე საშიშარი იქნება, როგორიც, მაგალითად, მილდიუაო.

წერილი რედაქციის მიმართ

ამ მარტს თვის 6 ს მივიღე ჩემდამო რწმუნებულის შემოქმედის სასოფლო სკოლის სახელზედ საჩუქრად პატარა ქართული წიგნები ცამეტი ეგზემპლიარი ბატონის ზაქათალის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლის გიგო ბურჭულაძისაგან, რომელიც ამასთანავე დაჰპირდა ამ სკოლას, რომ ამ მოკლე დროს მაგ სკოლაში წიგნთ-საცავს გავმართამო. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ გულითადი მადლობა ბატონს გიგო ბურჭულაძეს ამ გვარის შემოწირულებისათვის და უფრო მეტად საჭირო წიგნთ-საცავის გახსნის აღთქმისათვის. ღმერთმა ინებოს, რომ ასეთი თანამგრძნობელი ბევრი აღმოჩენილიყოს ამ ჩვენის პატარა გურიიდგან.

შემოქმედის სასოფლო სკოლის
მასწავლებელი მთავარ-დიაკონი
ანტონ ცეცხლაძე.

წვრილი ამბები

1849 წელს ბელგიელი გრაფი დ'ომონი ესტუმრა ქალაქს დრეზდენს და ერთს სასტუმროში ფრიად მდიდრულად მორთული ნომერი დაიჭირავა. ქვემო სართულში გრაფის სადგომს პირდაპირ სცხოვრობდა კომპოზიტორი მეიერბერი, რომელიც მუდამ ფორტოპიანოს უკრავდა და გრაფს მოსვენებას არ აძლევდა. რამდენისამე დღეს შემდეგ გრაფი და კომპოზიტორი ერთად შეიყარნენ ერთის ნაცნობის ოჯახში. მასპინძელმა სთხოვა მეიერბერს, რომ ერთ-ერთი თქვენი პიესა გაგვაგონეთო. კომპოზიტორი ჯერ დიდს უარზედ იყო, მაგრამ ბოლოს მაინც დაუკრა ორიოდე პიესა. შემდეგ გრაფ-

ეხთხელ თქმულა და დაწერილა, მაგრამ ყოველთვე ამას დღემდე გასავალი არ ჰქონია. ნათქვამია: „ხე ერთის შემოკვრით არ წაიქცევაო“, და ამიტომ მეც ვფიქრობ, რომ განმეორებითი საუბარი ამ საგანზედ მომეტევება.

ვინ არ იცის, რომ ეგრედ წოდებული ტირილი თავის ცერემონიებით და უთავ-ბოლო ხარჯით სრულიად ანადგურებს უიმისოთაც განადგურებულსა და მიწასთან გასწორებულს ჩვენს ნივთიერს შეძლებას. ტირილის ცერემონიებში ყველაზე უფრო თვალსაჩინო უგუნურება და მეტი ზარალი არის „ზარით წასვლა“. თუ რამდენად უგუნურებაა და რამდენის მხრით საზარალოა ეს ჩვეულება, ამას შემდეგიდამ დაინახავთ.

შემოდის ამას წინად ჩემთან ერთი მეზობელი და დიდის წინა სიტყვაობითა და შესავლით მიცხადებს, რომ გამიწყრა ღმერთი, მოყვარე მომიკვდა, ამა-და-ამ დღეს ტირილი აქვსთ, მეც სხვა მტერ-მოყვრებში ვერ გამოვეწყდები, ზარით წასვლას ვაპირებ და უნდა მცე პატივი, უნდა წამომყვეო. ორმოც-და-ათზე ნაკლები ცხენოსანი არ უნდა ვიქმნეთ, თორემ ვჭამე სირცხვილი, მომეჭრა თავი და ის იქნებაო. ხელი იმან შემიშალა, რომ იმ კაცს ამ სოფელში ჩემს გარდა კიდევ ჰყავს მოყვარე, ისიც ზარით აპირებს წასვლას. დაჯიბრებულები ვართ და რომელი რომელს ვაჯობებთ, რომელი უფრო ბევრს წამყოლს იშოვის, ეხლა გადაწყდებაო. ვხედავ, რომ დარიგება ეხლა ვერაფერს გააწყობს და არც უარი შემიძლიან ვუთხრა, რადგანაც, ეს იმის აზრით, ყელის გამოჭრა იქნება. მეტი რა ღონეა, ძალაუნებურად ხელი უნდა შევუწყო, წევრად უნდა გავუხდე ამ უგუნურს ჩვეულებას, რომელიც ჭირივით მძულს!

— გიახლები-მეთქი, ვეუბნები.

— მადლობელი ვართ, მეუბნება და თან უმატებს: თუ კაცი ხარ, კარგი ცხენი იშოვე და კარგადაც გამოეწყვე, რომ დამშვენდე, ზარემ ისე მოირთე.

ვიარე იმ დღეს, ერთს ცხენი ვთხოვე, მეორეს უნაგირი, მესამეს ნაბადი გამოვართვი, მეოთხეს ჩოხა-ახალუხი და, როგორც იყო, დანიშნულ დღეს მივედი დაპატიჟებულისას. ეზო ცხენებით დამიხვდა სავსე და სახლიკი სტუმრებით. სუფრა გაშლილი იყო და სადილი ჩაღდებოდა. იმდენს ხალხს მოეყარა თავი, რომ ვეებერთელა დარბაზში სივიწროვე იყო, ძლივ-ძლივობით მომათავსეს. გაჩაღდა სადილი, მაგრამ რა სადილი, შეიდრეა თავს საჭმელს მაინც დასთვლიდით, მერე კიდევ ისეთი საჭმელები, რომლებიც, ნამდვილად ვიცოდით, რომ ნაღდს ფულად იყო ნაყიდი! ისეთის მადით შევუდექით სადილს, თითქო დიდი ნაშრომი, დიდი ნაჯაფი ვიყავით. მასპინძელი დიდის კრძალვით გვებოდიშებოდა, რომ მოსწრებული დრო დაგვიჩა და როგორც რიგი იყო, ვერ დაგხვდით, თქვენდა საკადრისად ვერ გაგიმასპინძლდითო. მადაგახსნილ ჭამას სადღეგრძელო მოჰყვა, სადღეგრძელოს სამადლობელი და ყველა ამაებს ტვინის შეხურება ასე, რომ ტირილსა და გლოვაში მიმავალი ხალხი მექორწინე-მოქეიფეთაგან არაფრით განირჩეოდა. ბოლოს, როგორც იყო, დავანებეთ თავი სუფრას, ვიფიქრეთ წასვლა, შევსხდით ცხენებზე და დავადექით გზას. შეზარხოშებული და მერე კიდევ ცხენოსანი ხალხი ხომ მოგეხსენებათ, რომ ცოტა საქმე არ არის! სიჩუმისა და წესიერების მაგიერ დიდი ყიჟინი და ვარახელა გვქონდა ატეხილი... შევედით იმ სოფელში, სადაც ტირილი იყო და, იქ-კი ძალა დავატანეთ თავს, მოუწიეთ ცხენებს სადავე, მოვინდომეთ გაჩუმება და სიწყნარე, მოვიკატუნეთ თავი, გვინდოდა დაგვეტყობოდა, რომ ვითომც ჩვენც მონაწილე ვართ მასპინძლის მწუხარებაში. მაგრამ ვინ არ შეგვატყობდა, რომ ყველა ამას ხელოვნურად ვაკეთებდით და ბუნებრივი ქცევის ნატამალიც არ მოგვეპოვებოდა... თითოეულად ვატირეთ მასპინძლის ოჯახობას მიცვალებული და რაკი ამას მოვრჩით, აქაც მიგვიწვიეს ეგრეთ წოდებულ „ღვინის დასალევზე“. აქაც იგივე გამეორდა, რაც სადილზე ვნახეთ მასპინძლისას. როცა კარგად ვიჯერეთ გული, ვიფიქრეთ სუფრიდამ ადგომა და შინისკენ გამობრუნება. გამოვეცდით თუ არა მიცვალებულის ეზოს, შეგვექმნა ცხენების ჭენება, სიმღერა და ერთი ვაი-ვაგლახი ავაყენეთ გზაზე. დამთვრალ მაყრების გუნდს უფრო ვგავდით, ვიდრე სატირლიდამ დაბრუნებულ ადამიანებს. ჩვენი მასპინძელი სიხარულით ცას ეწეოდა, რომ ასე რიგიანად და უნაკლულოდ შეასრულა თავისი ვალი, რომ ამდენი ხალხი ეახლა და პატივი სცა; გარდა ამისა მისი წამყოლი ამალა ხუთით მეტი გამოდგა მეორისაზე. ეს ხომ სრულს გამარჯვებას შეადგენდა და აბა როგორ არ უნდა გახარებოდა. იმას-კი არ ჰფიქრობდა, თუ ზარალის მეტი რა სარგებლობა მოუტანა ამ ცერემონიით ან თავის თავს, ან მიცვალებულის ოჯახს!

მერე ყოველი ესე ისეთი ხარჯია, რომელიც, არც სულს არგია, არც ხორცს არც ღვთისაა, არც ეშმაკისა! მოდით და ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დოვლათი და ბარაქა ეძიეთ! მოდით და ნუ იტყვით, რომ თუ გერმანიაში კონგრესი ინიშნება მუშათა საქმის გადაწყვეტის გამო, ერთი შინაური კონგრესი ჩვენშიაც საჭიროა ტირილის შემოკლებისათვის.

ხუმრობის გარეშე, მართლა და საჭიროა ერთ გვარის კრების დანიშვნა სადმე ამ უგუნურის ჩვეულების მოსასპობად, მაგრამ კრებაზე ყველა სოფლის წარმომადგენელი უნდა დაესწრეს. ისე-კი ცალკ-ცალკე სოფელმა, კაი ხანია, სინჯა მოსპობა, განაჩენიც დაადგინა, მაგრამ მაინც ჩაითრია საზოგადო ფერხულმა. მე არა მგონია, რომ ეხლა უმეტესობამ არ მოგვცეს მხარი ამ საქმეში. ამით დაიმედებული მივმართავ თხოვნით ყველა სოფლისა და საზოგადოების პატივცემულსა და მეთაურს კაცებს, ვისაც-კი ეს ჩვეულება მავნებლად უცვნია, ამ საქმეშიაც გამოიჩინონ თავიანთი გავლენა და მეთაურობა. გავანთლდით და წარმატებაში შევედითო, რომ გაიძახიან, დეე შეიგნონ, რომ მარტო ნავთის გაიაფება და გავრცელება-კი არ არის განათლება, არამედ ასეთ ძნელ და უგუნურ ჩვეულებათა მოშორება.

დათიკო ვერმიცანაშვილი

საც სთხოვეს, დაუკარი რამეო. გრაფი დაუჯდა როილს და, წარმოიდგინეთ კომპოზიტორის განცვიფრება, დაუკრა ერთი ნაწილი მეიერბერის შესანიშნავის მარშის „წინასწარმეტყველისა“, რომელიც იმას ქვემო სართულიდგან ესმოდა. მეიერბერი ძალიან შეწუხდა, რომ იმისი ოპერა სხვამ გამოამჟღავნა და მას შემდეგ თავისს სახლში მხოლოდ დაბალის ხმით, ჩუმად უკრავდა ხოლმე „პიანისიმოს“.

— ამერიკელი გაზეთები იუწყებიან, რომ დაკოტაში აღმოაჩინეს ბუნებრივი საპონი, რომელიც ყოველ გვარ თვისებით ქარხნებში მომზადებულს საპონსა ჰგავსო.

— შოტლანდიაში შვიდის წლის მუშაობის შემდეგ დაამთავრეს აშენება რკინის გზის უზარმაზარ ხიდისა, რომლის მსგავსი ჯერ ქვეყანაზე არა აშენებულარა და რომელიც ჰცხადად ღაღადებს, თუ რა სასწაულთ-მოქმედების შემძლეა ეხლანდელი სახუროთ-მოძღვრო ხელოვნება. ხიდი შეაერთებს „ფორზსის“ (ზღვის ყურეა შოტლანდიაში) ერთს ნაპირს მეორესთან. შვიდის წლის განმავლობაში დღე და ღამე ორი ათასი კაცი მუშაობდა ამ ხიდის გაკეთებაზე. ღამე მუშაობის დროს იქაურობა ელექტრონით იყო განათებული. სიგძით ხიდი სამნახევარ ვერსზედ ცოტა ნაკლებია და ზღვიდგან ოც-და-ორის საჟენის სიმაღლეზედ არის გადაყვანილ. დამყარებულია ხიდი ორს ლითონის ბურჯზედ, რომელიც სიმაღლით ორმოც-და-თხუთმეტ საჟენს აღემატება. იმისი სიგანე თითქმის ნახევარი ვერსია. მთელი ხიდი ფოლადისა არის. იგი აუშენებია თავის ხარჯით ოთხს რკინის გზის ამხანაგობასა და გეგმა შეუდგენიათ საუკეთესო ხუროთ - მოძღვართ: გარრისონს, ბორგოუს, ფოულერს და ბეკერს. ამ ხიდის აშენებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც სუეზის არხის გათხრას. ხიდი 20 მილიონ მანათამდე დამჯდარა.

◆

დეპეშა

9 მარტი

„Journal de St. Pétersbourg“-ი უარ-ჰყოფს საზღვარ-გარეთ გავრცელებულს ხმას, ვითომც რუს-ავლანთა საზღვარზედ საქმე ცუდს მდგომარეობაში არისო. პირ-იქით, მშვიდობიანობა ჰსუფევს და უწესოება რამ ძნელადაც-კი არის შესაძლებელიო. გაზეთი ამბობს, ეს იმიტომ არის გავრცელებული, რომ ჩვენს ფონდებს სახელი გაუტეხოს, მით უმეტეს, რომ გაიგეს, რუსეთის მთავრობა ამ ახლო ხანში რაღაც საკრედიტო ოპერაციას აპირობსო.

„Нов. Время“ იუწყება, რომ რუსეთის ბრაზილიელს ელჩს იონინს ერთის წლით ნება მიეცა სამხრეთ ამერიკა მოიაროს, რათა ამ მოგზაურობის ანგარიში შეადგინოს. ეს ანგარიში ელჩის მიმოვლისა ცალკე წიგნად იქნება გამოცემული და გაიყიდება კიდეცაო.

პარიჟი. სოფიიდგან ამბავი მოდის: ბოლგარიის მთავრობამ, გერმანიის უფროს ელჩის ვაგენგეიმის მოთხოვნილების გამო, უბძანა ბანკს, რომ პარიჟში რუსეთის ანგარიში 3.600,000 მანათი გადიხადე, ის ფული, რომელიც რუსეთის მთავრობას ერგებაო. ანგარიშის შემოწმების შემდეგ გადაიხდიან აგრეთვე იარაღისა და ჯარის სურსათზედ დახარჯულს ფულსაც. შემდეგ ამისა იუწყებიან, რომ ორი კაპიტანი და ერთი პარუჩიკი, რომლებზედაც ეჭვი შეიტანეს, პანიცას შეთქმულობაში ერივნენო, ზურგის ჯარში იქმნენ ჩარიცხულნიო. გამოძიება სწარმოებს და საქმის გარჩევას ალბად აღდგომის შემდეგ შეუდგებიანო.

ბერლინი. „საიმპერიო მაჩვენებლის“ დამატებაში გამოცხადებულია უწყება, რომ თავად ბისმარკი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნა საიმპერიო კანცლერის, პრუსიის სამინისტრო საბჭოს პრეზიდენტისა და გარეშე საქმეთა მინისტრობის თანამდებობიდგანაო. იქავე დაბეჭდილი უწყება გენერალ ღეკაპრივის საიმპერიო კანცლერადა და პრუსიის სამინისტრო საბჭოს პრეზიდენტად დანიშვნისა, გარეშე საქმეთა სამინისტროს მართვა-კი დროებით გრაფს ბისმარკსა აქვს მინდობილი. შემდეგ გამოცხადებულია ბძანება იმპერატორისა დღევანდელის რიცხვიდგან, რომ შემიწყნარებია თ. ბისმარკის სურვილი და ვანთავისუფლებ კანცლერის მოვალეობისაგან, თავის მიერ 18 მარტს წარმოდგენილ თხოვნის თანახმადაო. იმ ბრძანებაშივეა ნათქვამი, რომ იმედია, იმპერატორი და სამშობლო არც ამიერიდგან იქნება მოკლებული იმის რჩევას, შემწეობასა და ერთგულებას. იმედი გვქონდა, რომ სიცოცხლის დროს არ მოგვიხდებოდა განშორება. განგების მოწყალებად მიგვაჩნდა ის გარემოება, რომ ტახტზედ ასვლის დროს გვერდით გვყავდა მრჩეველად თ. ბისმარკი. ყველა, რაც-კი პრუსიისა და გერმანიის სასიკეთოდ გაკეთდა, ყველა, რაც-კი თ. ბისმარკმა იმოღვაწა ჩვენის სახლისა და ჩვენთა წინაპართათვის და კერძოდ ჩემთვისაც, ყველა ეს საუკუნოდ იქნება აღბეჭდილი ხსოვნაში მადლობით. ყოვლთვის დიდის მოწონებისა და ქების ღირსი იყო ბრძნული და ენერგიული საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანობისა, რომლითაც იმპერატორი ამიერიდგანაც იხელმძღვანელებს. ამისთანა სამსახურისათვის ძნელია ვისიმე დაჯილდოვება, ხოლო საუკუნო მადლობის ნიშნად იმპერატორი თავადს უბოძებს ლაუენბურგის ჰერცოგობას და თავისს სურათს, ბუნებრივის სიდიდით გადაღებულს. მეორე ბძანებაში იმპერატორი, როგორც უმაღლესი სამხედრო კაცი, მადლობას უცხადებს თავადს ბისმარკს იმ დაუვიწყარ ღვაწლისათვის, რომელიც მან ჯარს დასდო იმპერატორის პაპის მეფის დროიდგან აქამომდე. იმპერატორი, თავადს კავალერიის გენერალ-პოლკოვნიკობასა და ჯარის ფელდმარშლობას უბოძებს და დარწმუნებულია, რომ ამ უმაღლესის სამხედრო წოდების ბოძებით მთელის ჯარის ნებას ვასრულებო.

ნიცცა. ვიცე-ადმირალმა ბერგას-დიუ-პტი-ტუარმა ზღვის ორთქლით-მატარებელ „ფორმიდაბლ“-ზედ დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის უფროსის პატივსაცემლად საუზმე გამართა. დესერტის დროს დიდმა მთავარმა დალია საფრანგეთის ფლოტის სადღეგრძელო. ბერგას-დიუ-პტი-ტუარმა მიუგო: „მე ბედნიერი ვარ, რომ სალამს ვაძლევ პლევნის გმირს. ვსვამ სრულიად რუსეთის იმპერატორისა და იმის უავგუსტოესის ბიძის სადღეგრძელოსაო“.

ბერლინი. დღეს დილით მოვიდნენ აქ პრინცი უელისა და პრინცი ღენორჯი.

გუშინ ქალაქ კეპენიკში, რომელიც ბერლინიდგან თორმეც კილომეტრის მანძილზედ იმყოფება, დიდი უწესოება მოხდა: რამდენმამე ათასმა ფაბრიკის მუშამ პოლიციელებს დაუწყო ქვებისა და რევოლვერების სროლა. პოლიციამ იარაღი იხმარა და ბევრი დაიჭრა ჩხუბის დროს. ერთი ჟანდარმი რევოლვერით მოკლეს. ფრანკფურტიდგან ამ ქალაქში ჯარი გაიგზავნა.

პეტერბურგის ბირჟა, 9 მარტს.

	მყიდველნი.	გამყიდველნი.	გაყიდულია.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	„	7 35
ტამოჟნის კუპონები . .	— „	„	147½
მანეთიანი ვერცხლის ფული	1 08	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	236¼	— „	— „
—მეორისა	— „	— „	221
—მესამისა	— „	— „	220
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჲ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.
ძველი ინდიქტიონი მე-14
ახალი ქორონიკონი—უპზ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

11 დღე კვირა. ქართველ. წმ. შორის მამისა სოფრონიოსა, იერუსალემის პატრიარქისა. კათოლ. წმ. კონსტანტინე, ევლოგია და პელაგიასი. სომეხ. 28 დღე დიდ-მარხვისა. წმ. იოანესი და სხვ. მზე ამოდის 5—58, ჩადის 6—16. ჭეშმარიტი შუადღე 12—7 მთვარე 3 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა და აღმსარებელისა თეოფანესი. კათოლ. წმ. გრიგოლ დიდისა და ტიბერიასი. სომეხ. 29 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—57, ჩადის 6—17. ჭეშმარიტი შუადღე 12—6 მთვარე 4 დღისაა.

განცხადებანი

ჩვენ წავართვით მმ:თა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ვყიდოთ ჩვენი.

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის პირზედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის ყუთის მსგავსს ყუთში გაკეთებულს.

—შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.

UNIVERSAL-METALL-PUTZ-POMADE
A.V. & Co
Schutzmarke.
ADALBERT VOGT & Co
BERLIN
FRIEDRICHSBERG.
Preise, goldene u. silberne Medaillen

მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება. (26—5)

ისყიდება

ქართული მრგვალი

ქრამიტი

ელისაბედის ქუჩაზე, № 31 სახლებში, რომელიც წინად ონიკოვისა იყო. (3—1)

თანახმათ მე-4 § განკარგულებისა, რომელიც სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან განცხადებულ იქმნა უმართებულეს სენატს ფილოქსერის გავრცელების წინააღმდეგ ღონისძიებათა შესახებ, კავკასიის ფილოქსერის კომიტეტი ამით აუწყებს, რომ მან სცნა ქუთაისის და შორაპნის მაზრაში, ქუთაისის გუბერნიისა, ფილოქსერის სენით მოდებული ადგილები შემდეგ საზღვართ შორის: ჩრდილოეთით—ის ქედი, რომელიც ჰყოფს რიონისა და ყვირილის მდინარეობას და რომელზედაც იმყოფებიან მწვერვალნი: დაღველული, ხიხამთა და საჩალიკო; ნაქერალას ქედი და მისი მტო თავშავი; ამ მტოდამ საზღვარი გადასჭრის რიონს და მიიმართება ხვამლის მთაზედ და ამ მთიდამ გადადის ცხენის-წყალისკენ; დასავლეთით—ცხენისწყალი; სამხრეთით—რიონი ყვირილის შესართავამდე და თვით ყვირილა; აღმოსავლეთით ყვირილა ფრონეს წყლის შესართავამდე, მერე თვით ფრონე, შემდეგ ქედი, რომელიც ჰყოფს ყვირილის და ძირულას მდინარეობას, და ის ქედი, რომელიც ჰყოფს ტფილისის გუბერნიას ქუთაისის გუბერნიისაგან სირხლიბერტოს მთამდე.

ამას გარდა კომიტეტმა სცნა, რომ ფილოქსერის მხრით საეჭვოა მთლად ქუთაისის გუბერნია სოხუმისა და ბათუმის ოლქითურთ. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე,, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის, გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

„დ ა ნ ი ა“

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა·

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზითა და პატივის ცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ.

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—5) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე


ACT. GES. H. F. ECKERT. BERLIN.
1067

სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—8)

LE CAUCASE ILLUSTRÉ

RÉDACTEUR EN CHEF: J. MOURIER

IMPRIMERIE MARTIROSSIANTZ—TIFLIS

Prix de l'abonnement: Tiflis, un an: 10 roubles; Russie et Caucase: 12 r.; Union Postale: 14 r

(6—5)

Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი. ილია ჭავჭავაძე